დამტკიცებულია: სებ-ის საბჭოს 2009 წლის 22 მაისის N 6 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება: სებ-ის საბჭოს 2010 წლის 24 აგვისტოს N 8 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება: სებ-ის საბჭოს 2016 წლის 30 დეკემბრის N 8 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება: სებ-ის საბჭოს 2018 წლის 4 იანვრის N 1 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება: სებ-ის საბჭოს 2020 წლის 28 დეკემბრის N 4 დადგენილებით

სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და ადგენს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის (შემდგომში – ოფიციალური გაცვლითი კურსი) განსაზღვრის წესს.
2. სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრასა და გამოქვეყნებას ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი.
3. სხვა ქვეყნების ვალუტების ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც განისაზღვრება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.
4. ოფიციალური გაცვლითი კურსი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას და სხვა მიზნებისათვის მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
5. ოფიციალური გაცვლითი კურსი არის ინდიკატიური მაჩვენებელი და გარდა ამ მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, მისი გამოყენება სავალდებულო არ არის.
6. იმ უცხოური ვალუტისათვის, რომელზეც ეროვნული ბანკი არ ახდენს ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოქვეყნებას, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსისა და აშშ დოლარის მიმართ ასეთი უცხოური ვალუტის საბაზრო კურსის კროს–კურსები.

მუხლი 2. ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი

1. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის გაანგარიშება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, წინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან გაანგარიშების დღის 16:30 საათამდე პერიოდში (შემდგომში – გასაანგარიშებელი პერიოდი) ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემის Bmatch პლატფორმაზე (შემდგომში – სავაჭრო სისტემა) რეგისტრირებული გარიგებებების გათვალისწინებით.
2. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი არის გასაანგარიშებელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე და სავაჭრო სისტემაში დადებულ სპოტ გარიგებათა გათვალისწინებით გამოთვლილი საშუალო შეწონილი კურსი.
3. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება:

   ა) საბაზრო კურსისგან არსებითად განსხვავებული კურსით დადებული გარიგებები. არსებითად განსხვავებულ კურსად მოიაზრება კურსი, რომელიც გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული დანარჩენი გარიგების საშუალო შეწონილი კურსისაგან 2.5 და მეტი პროცენტით განსხვავდება;

   ბ) ორ კონტრაგენტს შორის გასაანგარიშებელ პერიოდში მსგავსი პირობებით და

მოცულობით დადებული საპირისპირო გარიგებები;

გ) გარიგებები, რომლებიც ეროვნული ბანკის მიერ ჩაითვლება არასაბაზრო პირობებით დადებულ გარიგებად.

4. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრისას კურსის გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ გარიგებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება იმ წინა ერთი საბანკო დღის გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული გარიგებები, როდესაც დაფიქსირდა სულ მცირე ერთი სავალუტო გარიგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

   ა) გასაანგარიშებელ პერიოდში სავაჭრო სისტემაში დადებულ იმ ბანკთაშორის გარიგებათა რაოდენობა, რომლებიც ამ მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიციალური კურსის გაანგარიშებაში, სამი ან სამზე ნაკლებია;

   ან

   ბ) სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ ბანკთაშორის იმ გარიგებათა ჯამური ბრუნვა, რომლებიც ამ მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიციალური კურსის გაანგარიშებაში, 1.5 მლნ (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარზე ნაკლებია.

5. სხვა დანარჩენი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე არსებული კურსების კროს–კურსული გადაანგარიშების საფუძველზე.

6. თითოეული ასეთი ვალუტისათვის ბაზრის იმ სეგმენტების ჩამონათვალს (ბანკთაშორისი ან ცენტრალური ბანკის კურსი), რომელსაც უპირატესობა ენიჭება კროს–კურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების მისაღებად, ადგენს ეროვნული ბანკი.

7. გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკების ვებგვერდები.

8. კროს–კურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების განსაზღვრისას აიღება იმ მომენტისათვის ხელმისაწდომი უკანასკნელი საკურსო მაჩვენებლები.

9. კროს–კურსების გადაანგარიშებისათვის საჭირო აშშ დოლარის მიმართ სხვა ვალუტების კურსებს (გარდა ლარისა) ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ყოველ სამუშაო საბანკო დღეს 14:45–დან 15:00 საათამდე. ტექნიკური შეფერხებების შემთხვევაში დასაშვებია კურსის განსაზღვრა უფრო გვიანაც, ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრისთანავე.

მუხლი 3. ოფიციალური გაცვლითი კურსების გამოქვეყნება

1. ოფიციალური გაცვლითი კურსები ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არა უგვიანეს გაანგარიშების დღეს 17:00 საათისა. ოფიციალური გაცვლითი კურსები მოქმედებს გამოქვეყნების მომდევნო დღიდან, ახალი კურსების ამოქმედების დღემდე პერიოდში.

2. ოფიციალური გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაცია დამატებით შესაძლებელია გავრცელდეს „როიტერისა“ და „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემებში ან ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.